ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-62

2010 წლის 12 ივლისი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 18 მარტის №-43 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილებები ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 18 მარტის №-43 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ჯანსუღ ჯინჭარაძეს მიენიჭოს უფლებამოსილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს ქობულეთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის (სათავე ნაგებობის რეზერვუარისა და მაგისტრალური მილსადენის) შესრულებული სამუშაოების მიხედვით მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციაზე“.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე